მოსწავლეთა მშობლების სკოლისადმი დამოკიდებულება

გამოკითხვის შედეგები

ააიპ მშობლები განათლებისთვის

2019

მიზანი:

სკოლის მოსწავლეთა მშობლების სკოლისადმი დამოკიდებულების შესწავლა.

გამოკითხვის დანიშნულება:

მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მათი მზაობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

გამოკითხვის ჩატარების საფუძველი:

გამოკითხვას საფუძვლად დაედო სასკოლო საზოგადოების (პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის) მოსაზრებები, მშობელთა მოუცლელობის, შვილებისადმი საჭიროზე ნაკლები დროის გამოყოფის და შვილების სასკოლო ცხოვრების მიმართ დაბალი ინტერესის შესახებ. სასკოლო საზოგადოების ეს მოსაზრება შეტანილია gprid-ის ფარგლებში 2015 წელს გამოცემულ ანგარიშში მშობელთა ჩართულობის შესახებ.

ამ დაკვირვებების შედეგად დაგეგმილი გამოკითხვა ითვალისწინებდა რაოდენობრივი შესწავლის მიზნით საქართველოს სკოლებში საველე სამუშაოების განხორციელებას.

გამოკითხვის ველი:

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლები. კვლევა ჩატარდა 12 მუნიციპალიტეტში. კერძოდ, თბილისში, გორში, ხაშურში, ახალციხეში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავში, რუსთავში, წნორსა და სიღნაღში. ასევე, გამოყენებული იქნა სოციალური მედიით გავრცელებული გამოკითხვის ფორმატი - კერძოდ, აპლიკაციის ფორმა გაზიარდა ორგანიზაციის ფეისბუქგვერდზე. სულ მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონის 100 -მდე სკოლის მშობლებმა.

საკვლევი საკითხები:

- *სკოლებში მშობლების ვიზიტების სიხშირე და ხასიათი.*
- *მშობელთა განწყობა-დამოკიდებულება.*
- *მშობელთა სუბიექტური შეფასება სკოლიდან მიღებული უკუკავშირის შესახებ.*
- *სკოლის მიმართ ნდობის საკითხი.*
- *მშობელთა სურვილების, კმაყოფილების დონის და მოლოდინების შესწავლა.*

დამატებითი ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

მშობლებელთა ჩართულობისა და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვა, ბოლო წლებში ჩატარებული მესამე მასშტაბური გამოკითხვაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქართველოს რეგიონების მასშტაბით. (2012 წელს მშობელთა ჩართლობა უფრო მასშტაბურად შეისწავლა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებმა; ხოლო 2017 წელს - თვისებრივი კვლევა ჩაატარა „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტმა“, კოალიცია „განათლება ყველასათვის-საქართველოს“ დაფინანსებით)

ამჯერად, გამოკითხვა ჩატარდა ააიპ „მშობლები განათლებისთვის“ მიერ, კოალიცია „განათლება ყველასათვის-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „მშობლების მობილიზება და გაძლიერება“-ს ფარგლებში 2018 წლის მეორე დეკადაში.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1 215-მა მშობელმა.

გამოკითხვის ადმინისტრირება მოხდა ონლაინ რეჟიმში. მშობლების წინასწარი შერჩევის გარეშე. ასეთი პრაქტიკა გავრცელებულია სხვა ქვეყნებში ანალოგიური კვლევების შესრულებისას, თუმცა, არსებობს ალბათობა, რომ გამოკითხვაში შედარებით უფრო მოტივირებულმა და შვილის განათლების პროცესში უფრო აქტიურად ჩართულმა მშობლებმა მიიღეს მონაწილეობა, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოეხდინოს კვლევის შედეგების რეპრეზენტატიულობაზე.

მიუხედავად მოკრძალებული მასშტაბისა და მეთოდოლოგიური შეზღუდვებისა, კვლევა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტეგრირებით, საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ სკოლებში მშობელთა ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობები და გავწეროთ რეკომენდაციები.

მცირე კვლევის ავტორები:

მეგი კავთუაშვილი

ლიკა ზაალიშვილი

ძირითადი მიგნებები

- მშობლების 50%-ს სურს, სკოლასთან ურთიერთობა უფრო აქტიური გახდეს.

- მოსწავლეთა მშობლების უმეტესობა შვილის სკოლაში კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად დადის.

- მშობლების მიერ სკოლაში მისვლას დედაქალაქში უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს, ვიდრე ქვეყნის დიდ ქალაქებში ან სოფლებში.

- სხვადასხვა ასაკის შვილების მშობლები, განსხვავებული მიზეზით და ინტენსივობით დადიან სკოლებში. 11 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები სკოლაში მისვლის მიზეზად ყველაზე ხშირად შვილის მიყვანასა და გამოყვანას ასახელებენ. 11-დან 14 წლამდე ბავშვების მშობლები უმეტესად მაშინ მიდიან სკოლაში, როცა კონკრეტული საქმე აქვთ; 14 წლიდან ზევით ასაკის ბავშვების მშობლების უმრავლესობა დაბარების შემთხვევაში მიდის სკოლაში.

- მშობლების უმეტესობა იშვიათად მიმართავს დირექციას პრობლემის შესახებ. მიმართვიანობის უმრავლეს შემთხვევაში მშობლის მიერ დასმული პრობლემა გვარდება.

- მშობლების 66% მასწავლებლებს უპირობოდ ენდობა. 27% კი აცხადებს, რომ ენდობა, თუმცა მუდმივად დაკვირვების რეჟიმშია.

- მშობლების 52% თავს აქტიურ მშობლად მიიჩნევს, ხოლო 35% თვლის, რომ უფრო აქტიური უნდა იყოს.

- აქტიური მშობლების 60% ფიქრობს, რომ მათ სკოლაში სიხარულით ელოდებიან, პასიური მშობლების 20% მიიჩნევს, რომ მათ სკოლაში სიხარულით არ ელოდებიან. შესაძლოა სწორედ მშობლების მხრიდან მსგავსი სახის მოლოდინები და აღქმები განაპირობებდეს მათ აქტიურობას. ის მშობლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სკოლაში სიხარულით ელოდებიან უფრო აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხვორებაში, ვიდრე სხვა მშობლები.

გამოკითხვის ძირითადი ნაწილი

მშობლის მიერ სკოლაში სიარულის სიხშირე

კვლევაში მონაწილე მშობლების უმრავლესობა (13%, 182 მშობელი) კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად დადის სკოლაში. კვლევაში ჩართული მშობლების 8% (102 მშობელი) თვეში ერთხელ ახერხებს სკოლაში მისვლას. მშობლების 6% მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიდის სკოლაში, ხოლო 3% სემესტრში ერთხელ. მშობლების მიერ სკოლაში სიარულის ინტენსივობა მოცემულია *დიაგრამაზე N1.*



აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში მცხოვრები რესპონდენტების 20% კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად მიდის სკოლაში, მათი 16% თვეში ერთხელ სტუმრობს სკოლას *(იხილეთ დიაგრამა N2).* საინტერესოა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მიღებულ მონაცემებთან შედარებით, დედაქალაქში უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს მშობლების მიერ სკოლაში მისვლას. თბილისში უფრო მაღალია იმ მშობლების წილი, რომლებიც კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ მაინც მიდიან სკოლაში.



მშობლების მხრიდან სკოლაში ვიზიტის ძირითადი მიზეზები

კვლევაში მონაწილე მშობლების უმრავლესობა სკოლაში მიდის მაშინ, როდესაც რაიმე საქმე აქვს (20% 288 მშობელი), ასევე თითქმის ანალოგურია იმ მშობლების წილი, რომლებიც მოსწავლის მიყვანა-გამოყვანის გამო აკითხავენ სკოლას (19% 268 მშობელი). გამოკითხული მშობლების 14% (201 მშობელი) სკოლაში მიდის, მაშინ როდესაც დაიბარებენ *(იხილეთ დიაგრამა N3).*



ნდობა

გამოკითხული მშობლებიდან მასწავლებლებს ენდობა 64% (912 მშობელი), ხოლო 26% (370 მშობელი) ენდობა, მაგრამ აკონტროლებს.

საინფორმაციო დაფები

გამოკითხული მშობლების 46% (655 მშობელი) აღნიშნავს, რომ მათ სკოლებში არსებობს საინფორმაციო დაფები.

პრობლემის გაცხადება და მათზე რეაგირება

გამოკითხული რესპონდენტების 31% (437 მშობელი) აღნიშნავს, რომ ხშირად მიუმართავს სკოლის დირექციისა და მასწავლებლებისათვის პრობლემების არსებობის შესახებ. მშობლების 49%-ს (698 მშობელი) იშვიათად გაუჟღერებია სკოლის დირექციასთან და მასწავლებელთან პრობლემის არსებობის შესახებ, თუმცა, საინტერესოა, რომ ძალიან მაღალია იმ მშობლების წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი მიმართვის შემდეგ არსებული პრობლემები მოგვარდა. უფრო კონკრეტულად, იმ მშობლებიდან, რომლებიც ხშირად მიმართავენ დირექციას პრობლემების არსებობის შესახებ 91% აღნიშნავს, რომ პრობლემებზე ხდება რეაგირება და მათი გადაჭრა. ასევე, იმ მშობლებს შორის, რომლებიც იშვიათად მიმართავენ დირექცია/სკოლის მასწავლებლებს პრობლემების შესახებ 94%-ის შემთხვევაში არსებული პრობლემები მოგვარდა.

ინფორმაცია სასკოლო აქტივობებზე

კვლევაში მონაწილე მშობლების 81% (1154 მშობელი) აქცადებს, რომ სკოლა საკმარის ინფორმაციას აწვდის სასკოლო აქტივობების შესახებ.

აქტიური მშობლები

გამოკითხული მშობლების 52% (740 მშობელი) თავს აქტიურ მშობლად მიიჩნევს, ხოლო 35% (536 მშობელი) თვლის, რომ უფრო აქტიური უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ აქტიური მშობლების 60% (448 მშობელი) ფიქრობს, რომ მათ სკოლაში სიხარულით ელოდებიან, იმ მშობლებიდან კი, რომლებიც ფიქრობენ, რომ უფრო აქტიურები უნდა იყვნენ 34% (180 მშობელი) მიიჩნევს, რომ სკოლაში სიხარულით ელოდებიან.

დავამატებთ, რომ პასიური მშობლების 20% მიიჩნევს, რომ მათ სკოლაში სიხარულით არ ელოდებიან. შესაძლოა სწორედ მშობლების მხრიდან მსგავსი სახის მოლოდინები და აღქმები განაპირობებდეს მათ აქტიურობას. როგორც ვხედავთ, მშობლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სკოლაში სიხარულით ელოდებიან უფრო აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხვორებაში, ვიდრე სხვა მშობლები.

გამოკითხული მშობლების 50%-ს (706 მშობელი) სურს, რომ სკოლასთან ურთიერთობა უფრო აქტიური გახდეს. საინტერესოა, რომ ასეთი სურვილით გამოირჩევიან ის მშობლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სკოლაში მათ პოზიტიურად ხვდებიან (75% 529 მშობელი).

შვილთან საუბარი სასკოლო ცხოვრების შესახებ

გამოკითხული მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა 89.3% (1269 მშობელი) ყოველდღიურად 15 წუთს ან უფრო მეტს უთმობს შვილთან საუბარს სასკოლო ცხოვრების შესახებ. მშობლების 6% კვირაში რამდენიმე წუთის განმავლობაში საუბრობს შვილთან მისი სასკოლო ცხოვრების შესახებ, ხოლო 4% მხოლოდ და მხოლოდ თვეში რამდენჯერმე *(იხილეთ დიაგრამა N4).*



დიაგრამა N4. შვილთან საუბარი სასკოლო ცხოვრების შესახებ

განსხვავდება თუ არა მშობლის მხრიდან სკოლაში სიარულის სიხშირე მოსწავლის ასაკის მიხედვით

სკოლის მოსწავლეები დავაჯგუფეთ სამ ასაკობრივ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ მოსწავლეები 6-დან 10 წლამდე, მეორე ჯგუფში მოსწავლეები 11-დან 14 წლამდე და მესამე ჯგუფში მოსწავლეები 15 წელს ზემოთ. ხი კვადრატის ტესტი გვიჩვენებს, რომ მოცემული ჯგუფები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან მშობლების მხრიდან სკოლაში სიარულის სიხშირის მიხედვით ($X^2(6)=34.086$ $P<0.001$) ჯგუფებს შორის განსხვავებები მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1. **ასაკი და სკოლაში სიარულის სიხშირე**				
	სკოლაში სიარულის სიხშირე			
	სემესტრში ერთხელ	თვეში ერთხელ	კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად	იშვიათად ან როცა

					დამიბარებენ
მოსწავლის ასაკი	6-10 წელი	6.6%	20.9%	58.3%	14.2%
	11-14წელი	16.7%	34.3%	29.4%	19.6%
	15 და მეტი	15.4%	34.6%	19.2%	30.8%
სულ		10.3%	26.0%	46.6%	17.1%

განსხვავდება თუ არა მშობლის მხრიდან სკოლაში მისვლის მიზეზები მოსწავლის ასაკის მიხედვით

ხი კვადრატის ტესტი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეების მსობლები განსხვავებული მიზეზით სტუმრობენ სკოლას. ეს განსხვავებები არ არის შემთხვევითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია($X^2(8)=137.839$ $P<0.001$). იხილეთ ცხრილი N2.

ცხრილი N2. **ასაკი და სკოლაში მისვლის მიზეზები**

		სკოლაში მისვლის მიზეზები			
		ბავშვი მყავს გამოსაყვანი/მისაყვანი	თუ საქმე მაქვს	თუ დამიბარეს	საქმე რომ არ მქონდეს მაინც მივდივარ
მოსწავლის ასაკი	6-10 წელი	30.9%	13.3%	4.6%	51.2%
	11-14წელი	9.6%	22.0%	11.0%	57.4%
	15 და მეტი	3.7%	31.7%	22.0%	41.5%
სულ		21.2%	17.8%	8.2%	52.7%

შვილთან საუბარი სასკოლო ცხოვრებაზე

სხვადახვა ასაკის მოსწავლეების მშობლები განსხვავებულ დროს უთმობენ შვილებთან სასკოლო ცხოვრებაზე საუბარს ($X2(6)=17.628$ $P<0.001$). იხილეთ ცხრილი N3.

ცხრილი N3 **ასაკი და შვილთან საუბარი სასკოლო ცხოვრებაზე**

		დღეში 15 წთ და მეტი	კვირაში რამდენიმე წუთი	თვეში რამდენჯერმე ან უფრო იშვიათად	
მოსწავლის ასაკი	6-10 წელი	93.4%	5.7%	0.9%	100.0%
	11-14წელი	92.3%	7.0%	0.7%	100.0%
	15 და მეტი	87.7%	11.1%		100.0%
სულ		92.6%	6.5%	0.8%	100.0%

მოსწავლის ასაკი და მშობლის აქტიურობა

სხვადასხვა ასაკის მოსწავლეების მშობლები ასევე განსხვავდებიან აქტიურობის მიხედვით ($X^2(6)=22.251$ $P<0.001$).

ასაკი და მშობლის აქტიურობა				
		აქტიური მშობელი?		
		აქტიური ვარ	უფრო აქტიურიც შეიძლებოდა	პასიური ვარ
მოსწავლის ასაკი	6-10 წელი	59.1%	36.0%	4.9%
	11-14წელი	53.4%	40.1%	6.5%
	15 და მეტი	46.3%	41.5%	11.0%
სულ		56.1%	37.9%	5.9%

ცხრილები

სკოლაში სიარულის სიხშირე			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	სემესტრში ერთხელ	46	10.9
	თვეში ერთხელ	103	24.5
	კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად	188	44.7
	იშვიათად ან როცა დამიბარებენ	84	20.0
	სულ	421	100.0

სკოლაში მისვლის მიზეზები			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	ბავშვი მყავს გამოსაყვანი/მისაყვანი	268	19.4
	თუ საქმე მაქვს	256	18.6
	თუ დამიბარეს	150	10.9
	საქმე რომ არ მქონდეს მაინც მივდივარ	705	51.1
	სულ	1380	100.0

როგორ გხვდებიან სკოლაში			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	პოზიტიურად	1075	77.7
	ნეგატიურად	16	1.2
	ნეიტრალურად	292	21.1
	სულ	1384	100.0

დირექციისთვის მიმართვა პრობლემის შესახებ			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	არასოდეს	239	.17.3
	ხშირად	443	32.1
	იშვიათად	699	50.6
	სულ	1382	100.0

მოგვარდა თუ არა პრობლემა დირექციისთვის მიმართვის შემდეგ			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	კი	684	56.4
	არა	87	7.2
	ზოგიერთი კი	441	36.4
	სულ	1213	100.0

სკოლის მიერ ინფორმაციის მოწოდება სასკოლო აქტივობების შესახებ			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	კი	1161	83.8
	არა	223	16.1
	სულ	1385	100.0

ენდობით თუ არა მასწავლებელს			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	კი	913	66.5
	არა	87	6.3
	ვენდობი, მაგრამ ვაკონტროლებ	371	27.0
	სულ	1372	100.0

სიხარულით მოლოდინი სკოლაში			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	კი	652	47.3
	არა	86	6.2
	არ ვიცი	639	46.4
	სულ	1378	100.0

სკოლასთან ინტერნიუსი ურთიერთობის სურვილი			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	კი	989	72.1
	არა	59	4.3
	არ მიფიქრია ამაზე	323	23.5
	სულ	1372	100.0

შვილთან საუბარი სასკოლო ცხოვრებაზე			
		სიხშირე/რაოდენობა	პროცენტი
	დღეში 15 წთ და მეტი	1276	92.3
	კვირაში რამდენიმე წუთი	94	6.8
	თვეში რამდენჯერმე ან უფრო იშვიათად	11	.8
	სულ	1382	100.0